ის გვიბრძანებდა, როცა ვიყავით გზაში ან მოგზაურობაში, არ გაგვეხადა წინდები სამი დღე და ღამე, გარდა ჯუნუბობისგან (სქესობრივი კავშირის შემდეგ). მაგრამ ფეკალიის, შარდისა და ძილის შემდეგ

გადმოცემულია ზირ იბნ ჰუბაიშისგან, რომელმაც თქვა: მე მივედი საფვან იბნ 'ასსალ ალ-მურადისთან და ვკითხე მას ტყავის წინდის ზემოდან მასჰზე (გაწმენდაზე). მან მითხრა: — რამ მოგიყვანა აქ, ო ზირრ? მე ვუპასუხე: — ცოდნის ძიებამ. მან თქვა: — ნამდვილად, ანგელოზები ფრთებს აფენენ ცოდნის მაძიებელის წინ, კმაყოფილნი იმით, რასაც ის ეძიებს. მე ვთქვი: — გულში ეჭვი გამიჩნდა ტყავის წინდებზე მასჰის (გაწმენდის) შესახებ დიდი და მცირე საჭიროებების შემდეგ. ხოლო შენ იყავი მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჰაბთაგან, და ამიტომ მოვედი შენთან: თუ გსმენია, ახსენებდა თუ არა იგი ამაზე რამეს? მან თქვა: — დიახ. ის გვიბრძანებდა, როცა ვიყავით გზაში ან მოგზაურობაში, არ გაგვეხადა წინდები სამი დღე და ღამე, გარდა ჯუნუბობისგან (სქესობრივი კავშირის შემდეგ). მაგრამ ფეკალიის, შარდისა და ძილის შემდეგ — ნებადართული იყო (მასჰი). მე ვთქვი: — თუ გსმენია, ახსენებდა თუ არა რამეს ვნებაზე[სიყვარულზე]? მან თქვა: — დიახ. ვიყავით მოციქულთან ერთდ (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გზაში, როცა ერთმა ბედუინმა ძლიერი ხმით მიმართა მას: «ო მუჰამმად!» და მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იგივე ტონით უპასუხა: «აჰა, მე აქ ვარ!» ჩვენ ვუთხარით მას (ბედუინს): — უბედურებავ, დაუწიე შენს ხმას, რადგან შენ ხარ მოციქულ მუჰამმადთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), და შენთვის ეს აკრძალულია. მან თქვა: — ვფიცავ ალლაჰს, არ დავუკლებ ხმას! ბედუინმა თქვა: — ადამიანს უყვარს (რომელიღაცა) ხალხი, თუმცა ჯერ მათ (დონეს) არ მიუღწევია. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: — «ადამიანი იქნება იმათთან ერთად, ვინც მას უყვარდა, აღდგომის დღეს». და ის (საფვანი) განაგრძობდა მოყოლას, სანამ არ ახსენა კარიბჭე დასავლეთის მხრიდან, რომლის სიგანეც ისეთი იქნება, რომ მხედარი სივიწროვის გარეშე ივლიდა მასზე ორმოცი ან სამოცი წელი.

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

ზირრ იბნ ჰუბაიში მივიდა საფვან ბინ 'ასსალ ალ-მურადისთან, რათა მისთვის ეკითხა ფეხსაცმელზე მასჰის გაკეთებასთან დაკავშირებით, საფვანმა თქვა: ო, ზირრ აქ რამ მოგიყვანა? თქვა: ცოდნის სურვილმა, თქვა: ჭეშმარიტად, ანგელოზები ფრთებს უფენენ იმას, ვისაც ცოდნის მიღება სურს; იმის კმაყოფილებით და განდიდებით, რაც ცოდნის მიმღებს სურს და აკეთებს, ზირრმა თქვა: საპირფარეშოს პროცესების შემდეგ ფეხსაცმელზე მასჰის გაკეთების გამო გული არ მქონდა მშვიდად და გადავწყვიტე შენთვის მეკითხა, რადგან შენ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჰაბა ხარ: მოგისმენია შუამავლისგან რაიმე ამ საკითხთან დაკავშირებით? საფვანმა თქვა: დიახ, ის გვიბრძანებდა, როცა ვიყავით გზაში, არ გაგვეხადა ტყავის წინდები სამი დღე და ღამე მცირე დაბინძურების (როგორიცაა ფეკალია, შარდი ან ძილი)

გამო, გარდა ჯუნუბობისა — მაშინ აუცილებელია მათი გახდა. მე ვთქვი: — თუ გსმენია, ახსენებდა თუ არა რამეს სიყვარულზე? თქვა: დიახ, ჩვენ შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად მოგზაურობაში ვიყავით, როდესაც მასთან ახლოს ვიყავით, როცა მოვიდა ერთი ბედუინი და ხმამაღალი ხმით დაუძახა: ო, მუჰამმად! მაშინ შუამავალმაც (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მსგავსი ხმის ტონით მიმართა მას: "მოდი", ჩვენ მას ვუთხარით: სირცხვილი შენ! დაიდაბლე ხმა, რადგან შენ ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიმართავ! შენ აკრძალული გაქვს მასთან ხმის ამაღლება! მან უხეში ხმით თქვა: ვფიცავ ალლაჰს, არ დავიდაბლებ ხმას, ბედუინმა თქვა: ო, ალლაჰის შუამავალო, კაცს უყვარს [ხოლმე]მართალი საზოგადოება, თუნდაც მათ მსგავსად არ მოქმედებდეს? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: "კაცი იმასთან ერთად იქნება, განკითხვის დღეს, ვინც მას უყვარს", ზირრიმ თქვა: საფვანი აგრძელებდა საუბარს მანამ, სანამ არ ახსენა თავბას კარები შამის მხარეს, რომელიც გააჩინა ალლაჰმა მაშინ, როცა შექმნა ცანი და მიწა, რომლის სიგანე ცხენოსნით მოსიარულესათვის ორმოცი ან სამოცდაათი წლის სავალზეა, ის არ დაიკეტება მანამ, სანამ მზე დასავლეთიდან არ ამოვა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4565